გადოების მრჩეველთა საბჭოს წევრი (2003-2011).

ჰამბურგი იყო დედამიწაზე მისი ადგილი, რომლის ერთგული დარჩა უდროო გარდაცვალებამდე. ამ ქალაქში იყო მისი ფესვები და ცხოვრობდნენ მშობლები, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს იყვნენ მასთან და რომელთა წინაშეც გრძნობდა პასუხისმგებლობას. მას არასოდეს მიუმართავს რომელიმე სხვა უნივერსიტეტში პროფესორობისთვის, თუმცა უდავოა, რომ ნებისმიერ უნივერსიტეტში შეეძლო ემუშავა.

მანკოვსკის მეორე საყრდენი ყოველთვის იყო ჰამბურგის მაქს პლანკის ინსტიტუტი. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ინსტიტუტი მისთვის, ამას თავადაც საუკეთესოდ აღწერს მისი ბოლო მონოგრაფიის „სამართლებრივი კულტურის“ წინასიტყვაობაში: „[…] თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ერთ ინსტიტუტს: ჰამბურგში არსებული მაქს პლანკის უცხოური და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და მისი ჭეშმარიტად ამოუწურავი საგანძურის გარეშე ეს წიგნი და განსაკუთრებით მისი სქოლიოები ვერასოდეს შეიქმნებოდა. მე კიდევ უფრო მადლიერი ვარ ინსტიტუტის დირექტორების, იურგენ ბაზედოვის, ჰოლგერ ფლაიშერის და უპირველეს ყოვლისა რაინჰარდ ციმერმანის, რომლებმაც ამ წიგნს ინსტიტუტის „დიდ სერიაში“ გამოჩენის საშუალება მისცეს. ჰამბურგი, 2016 წლის 6 ივნისი […]”.

სხვათა შორის, „სამართლებრივი კულტურა“, რომელიც მან საკუთარ თავს 50 წლის იუბილეზე აჩუქა, არის მხოლოდ მისი შედარებითსამართლებრივი და ტრანსნაციონალური კვლევითი ინტერესის ნაყოფი, რომელიც სცილდება ეროვნულ და საერთაშორისო კერძო და საპროცესო კანონმდებლობას. 2018 წელს ამ სამუშაოსთვის მას გადაეცა უნივერსიტეტის საზოგადოებისა და ბერენბერგ ბანკის ფონდის აკადემიური ენის პრემია. თავის დასაბუთებაში ჟიურიმ განმარტა: „[...] ჟიურიმ მიანიჭა პრიზი ამ ნაშრომს, რადგან პროფესორმა მანკოვსკიმ შთამბეჭდავად მოახერხა იურიდიული კულტურის აბსტრაქტული საგანი მკაფიო და ელეგანტური ენით, მრავალი კულტურიდან და ქვეყნებიდან შერჩეული მაგალითების გამოყენებით კონკრეტული და გასაგები გაეხადა […]“[3]. მისი (არა მხოლოდ იურიდიული) გამოხატვის ფორმა მართლაც უნიკალური იყო, ხოლო მისი ლექსიკა არაჩვეულებრივად მდიდარი, მაგრამ ამავე დროს გასაგები და ზუსტი, საიდანაც მეც დიდი სარგებლობა მივიღე. „სამართლებრივი კულტურა“ ასევე აჩვენებს მის დოგმატურ პერფექციონიზმსა და მეთოდოლოგიურ ოსტატობას და სრულყოფილად ამტკიცებს, რომ შედარებითი სამართალი და ინტერდისციპლინურობა მისი სამეცნიერო ინსტრუმენტის განუყოფელი ნაწილებია.

პეტერ მანკოვსკიმ თავისი გატაცება პროფესიად აქცია და მთელი ცხოვრება სამართალს მიუძღვნა. ამ ცნობიერმა გადაწყვეტილებამ გამოიღო ნაყოფი, რომლის გადაჭარბება შეუძლებელია. მას ჰქონდა ენერგია, რომლის მსგავსის მოძებნაც რთულია. მისი სამეცნიერო მუშაობის ნაყოფიერება ნამდვილად ვერ იქნება გადაჭარბებული. მისი პუბლიკაციები იქნებოდა სრულიად საკმარისი რამდენიმე კათედრისთვის. მისი პუბლიკაციების წარმოუდგენელი რაოდენობა მოიცავს 13 მონოგრაფიას (ნაწილობრივ თანაავტორობით), 59 კომენტარს, 340 სტატიას, 37 საიუბილეო კრებულის სტატიას, 105 პუბლიკაციას კრებულებში, 2 სტატიას საგანმანათლებლო ლიტერატურაში, 607 გადაწყვეტილების შენიშვნას, 233 წიგნის მიმოხილვას, 3 გამოქვეყნებულ სასამართლო საექსპერტო დასკვნას და 33 საკონფერენციო ნაშრომს, წინასიტყვაობებს, ედიტორიალებს, მილოცვებს, ნეკროლოგებს და ა.შ. თუმცა, პუბლიკაციების ეს სია, რომელიც სულ 1432 ნაშრომს მოიცავს, არ არის სრული და ითვალისწინებს 2021 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ სიტუაციას. გამოუცნობია, თუ როგორ ჰქონდა დრო, ყოფილიყო როგორც მრავალი ჟურნალის და პუბლიკაციების სერიის[4] სა-

[3] საიტი: https://www.jura.uni-hamburg.de/die-fakultaet/aktuelle-meldungen/2018-11-14.html [უკანასკნელად ნანახია 27 თებერვალი, 2022].

[4] Hamburg Studies on Maritime Affairs, Studien zum Internationalen Privat- und Verfahrensrecht, European Commentaries on Private International Law, Internationalrechtliche Studien, IHR, Cuadernos de derecho transnacional, ZVglRWiss, European Journal of Com-

მეცნიერო მრჩეველთა საბჭოს თანარედაქტორი და აქტიური წევრი, ასევე მუდმივი წევრი[5].

მისი ნამუშევრები განასახიერებენ ბრწყინვალე ცოდნას, დეტალებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და გამორჩეულ დოგმატურ უნარს, აჩვენებენ ამოუწურავ ცნობისმოყვარეობას და ეკონომიკური ურთიერთკავშირების აღქმას, ასევე პრაქტიკული საკითხებისადმი ინტუიციას. პეტერ მანკოვსკიმ ეს ყველაფერი შეუთავსა წარმოუდგენელ მოკრძალებას. ის არასდროს მუშაობდა ჯილდოების, გრანტების ან თანამდებობებისთვის. როგორც სულით და ხორცით მეცნიერს, მას ჰქონდა სრულიად განსხვავებული პრიორიტეტები და გამოწვევები. თავის თავს ირონიულად უწოდებდა მეცნიერ ხელოსანს. და ეს არის ზუსტად იმ დიდი პიროვნებებისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რომლებიც არ ცდილობენ მოექცნენ ყურადღების ცენტრში, თუმცა მათი ნამდვილი ღირებულებები აისახება მათ ნამუშევრებში. იმის გააზრება, თუ ვინ დავკარგეთ სინამდვილეში, ძალიან ხშირად გვიან ხდება.

მისი კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება უდავოდ საერთაშორისო კერძო და საპროცესო სამართალი იყო. მანკოვსკიმ აქ იპოვა თავისი აკადემიური სახლი. მან განიხილა კოლიზიურ-სამართლებრივი თემების წარმოუდგენელი სპექტრი, მათ შორის გადახდისუუნარობის სამართლის ასპექტები.[6] თითქმის შეუძლებელია იპოვოთ საერთაშორისო კერძო სამართლის თემები, რომლებსაც მანკოვსკი არ შეხებია. უთვალავ პუბლიკაციებს შორის, საერთაშორისო კერძო სამართლისა[7] და საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის[8] დიდი სახელმძღვანელო მხოლოდ მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ. სხვა მრავალთა შორის უნდა აღინიშნოს მისი ვრცელი მოსაზრებები ქორწინებისა და ალიმენტის საერთაშორისო სამართალსა[9] და ჰააგის ალიმენტის პროტოკოლთან[10] მიმართებით, Staudinger-ის კომენტარში, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა[11] და საერთაშორისო კონკურენციისა და კონკურენციის საპროცესო სამართალთან[12] მიმართებით მიუნხენის კომენტარში, რომელიც დაწერილია შეუდარებელი სიზუსტით. მისი თერთმეტი თანარედაქტორობის უმეტესობა ეხებოდა ევროპულ დირექტივებს (Brussels I, IIbis, Ibis, Rom I, Rom II)[13] და იყო მის ჰამბურგელ მეგობარ ულრიხ მაგნუსთან მრავალი წლის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგი. ეს ინგლისურენოვანი საერთაშორისო კერძო სამართლის ნამუშევრები ცნობილია მთელ მსოფლიოში და დიდი მოწონებით სარგებლობს როგორც სამართლის მეცნიერებს, ასევე სამართლის პრაქტიკოსებს შორის.

მაგრამ მანკოვსკის კვლევითი ინტერესები ბევრად სცილდებოდა აღნიშნულს. იგი იკვლევდა სახელშეკრულებო სამართლის, მომხმარებელთა დაცვის სამართლის, უსამართლო კონ-

mercial Contract Law, ZIAS, CYIL, Studien zum Europäischen Privatrecht und zur Rechtsvergleichung, Beiträge zum UN-Kaufrecht.

5 RIW, EWiR und WuB.

6 Peter Mankowski, Michael Müller, Jessica Schmidt, *Europäische Insolvenzverordnung 2015*, C.H. Beck Verlag, München 2016, XXIII, 834 S.

7 Peter Mankowski, begründet von Christian von Bar, *Internationales Privatrecht II: Besonderer Teil*, 2. Auflage, C.H. Beck Verlag, München 2019, LX, 1097 S.

8 Franco Ferrari, Eva-Maria Kieninger, Peter Mankowski, Karsten Otte, Götz Schulze, Ingo Saenger, Ansgar Staudinger, *Internationales Vertragsrecht*, 3. Auflage, C.H. Beck Verlag, München 2018, XLII, 1730 S.

9 Art. 18 EGBGB; Anhang I und II zu Art. 18 EGBGB (Haager Unterhaltsübereinkommen), Sellier/de Gruyter, Berlin 2003, 1-220; Artt. 13–17b EGBGB; Anhang zu Art. 13 EGBGB (Internationales Eherecht), Sellier/de Gruyter, Berlin 2011, 918 S. und Haager Unterhaltsprotokoll (HUP), Otto Schmidt/De Gruyter, Berlin 2021, 321 S.
Haager Unterhaltsprotokoll, in: *Julius von Staudinger* (Begr.), Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Haager Unterhaltsprotokoll (HUP) Internationales Unterhaltsrecht, C.H. Beck Verlag, Berlin 2021, VII, 321 S.

11 Artt. 71–77; 79; 80; 85–88 CISG, in: *Karsten Schmidt/Barbara Grunewald* (Hrsg.), Münchener Kommentar zum HGB VI: §§ 343–406 HGB; CISG, C.H. Beck Verlag, München 2007

12 Internationales Wettbewerbs- und Wettbewerbsverfahrensrecht (Teil II), in: *Peter Heermann/Günter Hirsch* (Hrsg.), Münchener Kommentar zum Lauterkeitsrecht, C.H. Beck Verlag, München 2006, 127–312.

13 Brussels I Regulation (München 2007) XXVIII, 852 S.; Brussels I Regulation (2. Auflage, München 2012) XXVII, 972 S.; Brussels IIbis Regulation (München 2012) XXXVIII, 506 S; Brussels Ibis Regulation (Köln 2016) XXXIV, 1163 S.; Rome I Regulation (Köln 2017) XXVI, 902 S.; Brussels IIbis Regulation (2. Auflage, Köln 2017) XX, 540 S.; Rome II Regulation (Köln 2019) XXXVII, 724 S.

კურენციის სამართლისა და საერთაშორისო უნიფიცირებული სამართლის სფეროებს. შთამბეჭდავი იყო იმის ხილვა, თუ როგორ აერთიანებს მისთვის დამახასიათებელი სტილით ერთი შეხედვით უცნობ თემებს და შემდეგ სრული სიზუსტით მსჯელობს იმ იურიდიულ საკითხებზე, რომლებიც ადრე არ იყო მისი კვლევის ინტერესებში. მაგალითად, მე მოვახერხე მისი დაყოლიება სანივთო სამართალზე. წამიერი ყოყმანის შემდეგ, მან სწრაფად აღმოაჩინა საერთაშორისო კერძო სამართლის ახალი ასპექტები უძრავი ქონების შეფასების დროს[14] ან მიწის რეესტრის კანონში[15] და შეავსო სამეცნიერო ხარვეზები თავისი ნაშრომებით. სხვათა შორის, არც თუ ისე იშვიათი იყო მისი მხრიდან ისეთი სფეროების განავითარება ინოვაციური იდეებით, რომლებიც სცდებოდა მის სფეროს. ახალ ტერიტორიაზე შესვლა რეალურად მისი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო.

მანკოვსკის ნამუშევრებმა არამხოლოდ გერმანიაში დატოვა წარუშლელი კვალი. მათი მნიშვნელობა ბევრად სცილდება ეროვნულ და წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს. მანკოვსკი რეგულარულად არის ციტირებული ევროპული სასამართლოს გენერალური ადვოკატების მოსაზრებებში.[16] თავისი მეცნიერული ბრწყინვალებით იგი ეხმარება ევროპული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

მეცნიერის სურათს სრულყოფს თავისი ეპოქის მიღმა დიდი რაოდენობით ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების შენიშვნები და კომენტარები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში - ჩინეთში, აშშ-ში, საქართველოში, რუსეთში, იაპონიაში, კორეაში თუ სხვ. - არასოდეს შემხვედრია საერთაშორისო კერძო სამართლის შემხებლობაში მყოფი პირი, რომლისთვისაც პეტერ მანკოვსკი უცნობია. ჩემს სამშობლოში, პოლონეთში, მას განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა. მისმა სალექციო მოგზაურობებმა (ჩესტოხოვა, კატოვიცე, ზიელონა გორა), პროექტებში, პუბლიკაციებსა და საიუბილეო კრებულებში მონაწილეობამ - რისთვისაც ყოველთვის პოულობდა დროს მიუხედავად სხვადასხვა გამოწვევისა - დააახლოვა იგი პოლონურ სამართალთან. სხვათა შორის, მისი ნარკვევები იბეჭდებოდა არა მხოლოდ პოლონურად,[17] არამედ ქართულადაც.[18]

პეტერ მანკოვსკის მუდმივად ჰქონდა მრავალი ახალი გეგმა, იდეა, გამოწვევა და შეხვედრები, რომლებიც დაგეგმილი იყო მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. ის რომ გასულიყო რეგულარულ პენსიაზე, იქნებოდა ჰამბურგის იურიდიულ ფაკულტეტზე ყველაზე დიდი ხნის პროფესორი. პირად საუბრებში მას განსაკუთრებით ესიამოვნა ეს პერსპექტივა და ხუმრობდა, რომ მის ორ სტუდენტს ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდა საიუბილეო კრებულზე ფიქრისთვის. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ შევძელით. მისი გარდაცვალების გამო ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ჩვენი ერთობლივი ნარკვევი „ბავშვის საუკეთესო ინტერესები, როგორც სახელმწიფოს ჩარევის ლეგიტიმაცია საერთაშორისო კერძო და საპროცესო სამართალში“, რომელიც მიმდინარე კვლევითი პროექტის ფარგლებში შეიქმნა, გამოქვეყნდება ***post mortem.*** მისი გენიისა და მიღწევების დაფასება მხოლოდ დროის საკითხია.

მთელი ამ წლების განმავლობაში, პეტერ მანკოვსკის ყოველთვის მეგობრულ და ოპტიმისტ, მაგრამ ამავე დროს ძალიან რეალისტ

[14] Peter Mankowski, *Der Immobilienbewertungsvertrag im europäischen Internationalen Privat- und Prozessrecht*, in: Magdalena Habdas, Arkadiusz Wudarski (Hrsg.), FS Stanisława Kalus – Ius est ars aequi et boni, Peter Lang Verlag 2010, 287–315.

[15] Peter Mankowski, *Das Grundbuch im Internationalen Privat- und Verfahrensrecht*, in: Arkadiusz Wudarski (Hrsg.), Das Grundbuch im Europa des 21. Jahrhunderts, Duncker & Humblot Verlag 2016, 83–100.

[16] Statt vieler siehe Schlussanträge des Generalanwalts Maciej Szpunar vom 7. April 2016, Rechtssache C-222/15, Hőszig kft gegen Alstom Power Thermal Services; Schlussanträge des Generalanwalts Henrik Saugmandsgaard Øe vom 5. September 2019, Rechtssache C-272/18, Verein für Konsumenteninformation gegen TVP Treuhand- und Verwaltungsgesellschaft für Publikumsfonds mbH & Co. KG.

[17] Peter Mankowski, Beata Schneider, Arkadiusz Wudarski, *Wybrane problemy prawa sprzedaży towarów konsumpcyjnych*, Rejent 8/2004, 72–98.

[18] *პეტერ მანკოვსკი, არკადიუშ ვუდარსკი, ლადო სირდაძე*, გარიგების სუბიექტური საფუძვლის არარსებობა გერმანულ, პოლონურ, ქართულ და ევროპულ კერძო სამართალში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“ 3/2020, 1–31.

ადამიანად ვთვლიდი. ის საკუთარ თავს არასდროს იცოდებდა და საოცარი იუმორის გრძნობა და თვით ირონიის უნარი ჰქონდა. ის ახლოს იყო ადამინებთან და ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა სხვების პრობლემები. ამ გულუხვი და შთამაგონებელი ადამიანის ძალიან მადლიერი ვარ, როგორც პროფესიულად, ასევე პირადადაც. მის დახმარებას საზღვრები არ ჰქონდა. მასთან საათობით საუბარი ყოველთვის იყო ენერგიული, ნდობით სავსე, შთამაგონებელი და გამამხნევებელი. ჩემთვის ეს იყო შუქურა, რომელიც ნებისმიერ გაურკვევლობას ნათელს ჰფენდა, ქარიშხალს და ქარს უძლებდა და გზას აჩვენებდა.

პეტერ მანკოვსკის ნაადრევმა გარდაცვალებამ ყველანი მეცნიერულად ობლად დაგვტოვა. ის იყო წამყვანი ხმა საერთაშორისო კერძო სამართლის ფერხულში; ბრწყინვალე ვირტუოზი, რომელიც აერთიანებდა უპრეცედენტო თავისუფლებას, მეცნიერულ ბრწყინვალებას, ინტელექტუალურ გამჭრიახობას, დაუღალავ ენერგიას და საუცხოო ორგანიზაციულ ნიჭს; გენიოსი, რომელმაც ჩამოაყალიბა ტონი და მიმართულება საერთაშორისო კერძო სამართლის კვლევის ორკესტრში. ჩვენ იმდენად მივეჩვიეთ მისი სამეცნიერო ნაშრომების უპრეცედენტო მასშტაბებს, რომ ჩვენთვის მისი გამოქვეყნების გარეშე ერთი თვე არარეალური და შემაშფოთებელი ჩანდა. ეს მტკივნეული სიცარიელე ძნელად შეივსება. მისი მემკვიდრეობა უდავოდ გააგრძელებს იურისპრუდენციის ფორმირებას და შთაგონებას. ოჯახისთვის და მეგობრებისთვის სიცარიელე სამუდამოდ დარჩება, ჩვენ დავკარგეთ ყველაზე ძვირფასი განძი. ის ცოცხლობს ჩვენს გულებში და ყოველთვის ჩვენთან იქნება ჩვენს ფიქრებში.

სასამართლო პრაქტიკა

▸ 1 – 2/2022

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე გაჟღერებული განცხადების აზრად მიჩნევა

მოსამართლეზე გამოთქმული განცხადების აზრად მიჩნევას მხარს შეიძლება უჭერდეს ის გარემოება, რომ მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები საზოგადოებრივი ინტერესით დატვირთული საკითხია.

***(ავტორის* სახელმძღვანელო წინადადება)**

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-591-591-2018

სკ-ის მე-18 მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მორალური ზიანის დაკისრებისა და იმის დადგენის მოთხოვნით, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული შემდეგი ცნობები: „მოსამართლე არის კორუმპირებული მოსამართლე, მოსამართლემ გადაწყვეტილება კორუფციული გარიგების შედეგად მიიღო, მოსამართლის მიერ კომპანიები უხეშად იქნენ მოტყუებულნი და დაშანტაჟებული“, არ შეესაბამება სინამდვილეს, ასევე, ცნობების გამავრცელებლის დავალდებულება, რიგ გადაცემებში გამოექვეყნებინა ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, მას სადავოდ არ გაუხდია განცხადების საჯაროდ გავრცელების ფაქტი, არამედ, შეედავა თავად განცხადების შინაარსს - განცხადებებში გადმოცემული მსჯელობა წარმოადგენდა არა ფაქტებს, არამედ, განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მის შეფასებით მსჯელობას, მოპასუხის აზრს, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არ ექვემდებარება შეზღუდვას.

სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და შეამცირა მოთხოვილი მორალური ზიანის ოდენობა. მოპასუხემ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შეიცვალა გადაცემებშო გამოქვეყნებული ცნობის შინაარსი, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სასაკასაციო სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის მიერ მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისად, შეფასების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსამართლის, არამედ, ზოგადად სასამართლოს ავტორიტეტის საკითხი. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები არის საკითხი, რომელზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, შესაბამისად, ლეგიტიმურია, რომ ეს საკითხები ჟურნალისტებმა და სხვა პირებმა განიხილონ საჯარო დებატებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში გადმოცემული ფრაზები ჩანდა მკაცრი და მწვავე, ამგვარი გაზვიადებული ან თუნდაც მაპროვოცირებელი განცხადებები საჯარო დებატებში დასაშვები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

მე-10 მუხლით. უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ განხილულ საქმეებთან მიმართებაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა მედიასაშუალებებით და საქმეთა რეზონანსულობიდან გამომდინარე, არაერთი საჯარო დებატი მიეძღვნა მათ. აღნიშნული გარემოება, სასამართლო რეფორმის საკითხთან ერთად, მიანიშნებს ფართო საზოგადოებრივი ინტერესის არსებობასა და საჯარო დებატებზე, რომლითაც დაინტერესებულია საზოგადოება. სადავო განცხადებების შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი განმცხადებლის აზრს წარმოადგენენ, რადგანაც განცხადებათა მთლიანი კონტექსტი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ასევე, ამ გადაწყვეტილებათა შინაარსზე სხვა, მისთვის ავტორიტეტეული პირების მიერ გამოთქმული აზრიდან გამომდინარე, აყალიბებს საკუთარ დამოკიდებულებას მოვლენის მიმართ და გულის ტკივილს გამოთქვამს სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის გამო. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია სასამართლომ შეაფასა აზრად.

ნინი ბერულავა

▸ 2 – 2/2022

შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ

1. არასრულწლოვნის ოჯახში მიღება და მშვილებლის მიერ მის სიცოცხლეში შვილად აყვანის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა წარმოადგენს შვილად აყვანის დადასტურების ორ ალტერნატიულ შემადგენლობას.

2. სკ-ის 1240 მუხლის 1 ვარ. წინაპირობას არ წარმოადგენს მოსარჩელის სრულწლოვანება, გადამწყვეტია, რომ ოჯახში მიღების შემადგენლობა შესრულებული იყოს მოსარჩელის არასრულწლოვანების პერიოდში.

3. თუკი მშვილებელი პირის შვილად აყვანის დადასტურების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის შემდგომ გარდაიცვლება, იმ პირს, ვისი შვილების დადასტურებასაც აღნიშნული განცხადება ეხებოდა, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განმცხადებლის უფლებამონაცვლედ ჩართვა.

(*ავტორის* სახელმძღვანელო წინადადებები)

უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-486-486-2018

სკ-ის 1240-ე მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: სრულწლოვანმა მოსარჩელემ აღიარებითი სარჩელით მოითხოვა აღმზრდელი მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება და მოსარჩელის დაბადების მოწმობაში, მშობლების გრაფაში მამად - აღმზრდელი მამის, ხოლო დედად - აღმზრდელი დედის ჩაწერა. სარჩელის თანახმად, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესია აღმზრდელის სახელზე არსებული ქონების მემკვიდრეობით მიღება. მოპასუხის წარმომადგენელმა არ ცნო სარჩელი.

სასამართლო მსჯელობის შეჯამება: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ის აღმზრდელი დედის ოჯახში შვილად იყო მიღებული. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლოს წესით შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებისთვის 2 პირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს: 1) არასრულწლოვანი ოჯახში შვილად უნდა იყოს მიღებული და 2) მშვილებელს სიცოცხლეშივე უნდა ჰქონდეს შეტანილი განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ, აღმზრდელი მშობლები კი ისე გარდაიცვალნენ, რომ მათ მსგავსი განცხადებით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით.